ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

1990
სამშაბათი
29
მაისი
3 (10300)
ფასი 8 კაპ.

საქ. კპ. ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

ОДИШИ — ОРГАН ЗУГДИДСКОГО ГОРОДСКОГО КОМИТЕТА КП ГРУЗИИ, ГОРОДСКОГО И РАЙОННОГО СОВЕТОВ НАРОДНЫХ ДЕПУТАТОВ.

## საქალაქო საბჭოს სესია

28 მაისს გაიმართა სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეოქვსმეტე სესია შემდეგი დღის წესრიგით:

1. აღმასკომის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ,

2. სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

3. საქალაქო საბჭოს აღმასკომთან კაპიტალური მშენებლობის განყოფილების შექმნის შესახებ.

სამივე საკითხზე ინფორმაციით გამოვიდა სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. იზორია.

სესიამ განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სესიამ სამუშაოდ სხვა ქალაქში გადასვლასთან დაკავშირებით დეპუტატი ზურაბ მელენტის ძე ფიფია გაათავისუფლა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან.

სესიამ დეპუტატი მურად ტერენტის ძე ხუბულავა სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლა სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან.

სესიამ დეპუტატი ირინა მახაილის ასული სემიონოვა ოჯახური მდგომარეობის გამო პირადი განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრის მოვალეობისაგან.

სესიამ სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად აირჩია მამანტი ილარიონის ძე პაჭკორია, ზამირა აპოლონის ასული ლადუა და უსლარ გრიგოლის ძე ლატარია.

სესიამ დეპუტატი ზურაბ ჟორჟოლის ძე ყუფუნია სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ გადაყვანასთან დაკავშირებით გაათავისუფლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ამ კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ვიქტორ უტუს ძე ესართია.

სესიამ მიზანშეწონილად ცნო სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და მიიღო გადაწყვეტილება აღმასკომთან შეიქმნას კაპიტალური მშენებლობის განყოფილება.

სესიამ აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ნუგზარ ტიტეს ძე მალაშხია.

## რომ გვქონდეს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი

(საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ერთობლივი თათბირი).

ამასწინათ სახალხო დეპუტატთა ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სააქტო დარბაზში ჩატარდა თათბირი, რომელიც მართლწესრიგის დაცვის საქმეში საზოგადოებრიობის ფართო მასების მონაწილეობას და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი მხარდაჭერასა და თანადგომას მიეძღვნა. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქისა და რაიონის საწარმო-დაწესებულებათა და საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიული ორგანიზაციათა მდივნები და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები.

მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში საზოგადოების ფართო მასების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბუნავა.

—პარტიული, საბჭოთა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ამ უკანასკნელ პერიოდში გატარებული ღონისძიებების მიუხედავად,—ითქვა თათბირზე,—ოპერატიული მდგომარეობა ზუგდიდში კვლავ დაძაბულია. ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე იშვიათი როდია ქურდობის, ყაჩაღობის, სახელმწიფო და პირადი ქონების დატაცების, სპეკულაციის, ავტოავარიისა და მეზობლური დავების შემთხვევები. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ დაბალია მომხდარ დანაშაულობათა გახსნის კოეფიციენტი. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ძალზე სუსტია მომხდარ დანაშაულობათა გახსნის საქმეში საზოგადოებრიობის ფართო მასების მხარდაჭერა და თანადგომა. გაზ ცოტა ვიცით ისეთი ფაქტი, როცა დღისით, მზისით ადამიანთა გარკვეული ჯგუფის თვალწინ მოხდა დანაშაული, ხოლო მილიცია ამ ფაქტის დასადასტურებლად მოწმეს ვერ პოულობს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დანაშაულის გახსნაში არავის არ სურს მონაწილეობის მიღება იმ მოტივით, რომ ვიღაცის გულისთვის მეზობელს ან სხვა ვინმეს მტრად არ მოეკიდება.

სხვა რით შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი, რაც ზუგდიდ-ჩხოროწყუს გზაზე სოფელ ოდიშის ტერიტორიაზე მოხდა. ამ ტერიტორიაზე გამავალმა მსუბუქმა ავტომანქანამ ოდიშის მკვიდრი კონსტანტინე მებონია გაიტანა. ამ ფაქტს რამდენიმე კაცი შეესწრო, მაგრამ ყველანი კატეგორიულად აცხადებენ: ბნელოდა და მანქანის ნომრიდან ვერც ერთი ციფრი ვერ შევნიშნეთო. დაუჯერებელია. მოქალაქეთა მხრიდან დანაშაულის კვალის დაფარვის მცდელობის ამაზე მეტი ფაქტი განა შეიძლება იყოს. პირისფარს კი იერიში ადმინისტრაციულ ორგანოების მუშაკებზე მიაქვს და იმათგან არაფერს ითხოვს, ვინც ავტოავარიას შეესწრო, რაღაც მაინც იცის, მაგრამ მალავს.

კიდევ ბევრ სხვა საკითხზე იქნა ყურადღება გამახვილებული თათბირზე. ითქვა, რომ არ არის ჯეროვანი წესრიგი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, სასურსათო და სამრეწველო საქონლის ასეთი დეფიციტის დროს, როგორც ახლა გვაქვს, ყოვლად შეუწყნარებელია საქონლის გადამალვა. არც ისე იშვიათია მოქალაქეთა ზომა-წონაში მოტყუების, ფასდამატების, მომხმარებელთა აბუჩად აგდების ფაქტები, რაც მოქალაქეთა სამართლიან გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს.

მომსახურების სფეროში არსებულ დამახინჯებათა აღსაკვეთად მუშაობის რადიკალური გარდაქმნა მოუწოდეს სავაჭრო დაწესებულებათა და შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონული განყოფილებების სოციალისტური საკუთრებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლ ქვეგანყოფილებათა ხელმძღვანელებს.

თათბირის მონაწილეთა გადაწყვეტილებით 28 მაისიდან დაიწყო და მიმდინარეობს ქალაქისა და სოფლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ერთთვიური, დაწესდა მორიგეობა ღამის 10 საათიდან დილის 7 საათამდე. ამ მიზნით შეიქმნა მორიგე ჯგუფები, რომლის შემადგენლობაში შედიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული სამეურნეო მუშაკები და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები. ჯგუფის წევრებს დაევალათ გაატარონ პროფილაქტიკური, ღონისძიებები, მორიგეობის პერიოდში მომხდარ დანაშაულებრივ ფაქტებზე დროულად აცნობონ პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილ მართლწესრიგის დაცვის საქალაქო შტაბს.

## საქართველოს ეროვნული ყრილობა

სამ დღეს მიმდინარეობდა ქ. თბილისში საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელშიც ექვსი ათასამდე დელეგატი იღებდა მონაწილეობას. ეროვნული ფორუმის ინიციატივით მოწვეული ყრილობა ამოცანად ისახავდა დებულების შემუშავებას ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ, მისი სტატუსის განსაზღვრას.

ყრილობის მუშაობის დაწყების წინ მის მონაწილეებს მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ეროვნული ფორუმის საკოორდინაციო ცენტრის სახელით ყრილობა გახსნა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ლიდერმა ი. წერეთელმა.

ყრილობაზე ძირითადი მოხსენებები გააკეთეს გ. ჭანტურიამ (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია), ი. ხაინდრავამ (თბილისის პოლიტიკური კლუბი), თ. სუმბათაშვილმა (ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია).

...ყრილობის ბოლო დღეს დელეგატებს და ყრილობის სტუმრებს გააცნეს ეროვნული კონგრესის არჩევნების კანონპროექტი.

ყრილობამ ხმების უმრავლესობით, შენიშვნების გათვალისწინებით, მიიღო რეზოლუცია ეროვნული კონგრესის არჩევნების შესახებ. გადაწყდა, არჩევნების დღედ დაინიშნოს მიმდინარე წლის 30 სექტემბერი.

## ყველას, ყველას, ყველას!

კეთილი ნების ადამიანებო! საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია ეხმარება რეგიონში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებას და ღებულობს შემოწირულობებს როგორც ორგანიზაციადაწესებულებებიდან, ასევე კერძო პირებიდან. დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს შევახსენებთ ჩვენი ორგანიზაციის საანგარიშსწორებო ანგარიშის ნომერს: „მრეწვმშენბანკის“ ზუგდიდის განყოფილება № 70006. სდს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია.

შენიშვნა: ქ. ზუგდიდის № 8 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა მარინა მიქავამ და ციცო შონიამ ამ ანგარიშზე ჩარიცხეს 100-100 მანეთი.

მადლობა მათ.

საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადრომის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზნეობის პრიზმა

# კუჭი თუ სული?

დღევანდელი ეროვნულ-პოლიტიკური მასშტაბური მოძრაობის ფონზე ბევრი ისეთი პრობლემა წარმოჩინდა, რაც ადრე ხავულდაგულოდ მიჩქმალული იყო და საზოგადოების წაყრუების გამო ღრმად იდგამდა ფესვებს ადამიანთა ცნობიერებასა და ქმედებაში. ესთეტური აზროვნებისა და თუნდაც უბრალოდ ჯანსაღი ცხოვრების წესის მოშლამ ადამიანი პირუტყულად დაშალა, გათქვიფა ამაზრზენობაში, აქცია მახად. სოციალიზმის ერთ-ერთი წამყვანი ლოზუნგი იყო ყოველივეს „მასებამდე დაყვანის" პრინციპი. არავინ ცდილა, თვითონ მასები ამაღლებულიყვნენ მსოფლიო ცივილიზაციის მარადღირებულ კატეგორიებამდე.

ერთმა მწერალმა საუბარში თექვსმეტი წლის გოგონას ნათქვამი მოიშველია (სხვა კონტექსტში): „ყველა რომელს გულის ქვეშ კუჭი აქვსო". ეს ასეცაა, მაგრამ რომელი სძლევს — მთავარი ესაა. რა კეთდება, რას ვაკეთებთ იმისათვის, რომ ადამიანი ცოტად თუ ბევრად გასცდეს პირობით რეფლექსებს. კი, ბატონო, საგაზეთო სიტყვებით აღვშფოთდით გაზეთ „შანსის" სექსუალურ ინფორმაციაზე, ვგმობთ ბევრ სხვა რამესაც, მაგრამ სიტყვას საქმე თუ მოსდევს? (ვიტოვებ უფლებას განვაცხადო: ჩვენი დევალვირებული ღირებულებების საუკუნეში ინტიმური ურთიერთობების კულტურასაც სწავლება სჭირდება, მაგრამ არა იმ პორნობიზნესის ფორმით, როგორც გაზეთმა გააკეთა. სხვათა შორის, მსგავსი რამ ჩვენი ქალაქის ერთადერთი მიწისქვეშა გადასასვლელის მართლაც გვირაბულ სიბნელეში შეგიძლიათ იხილოთ პორნობიზნესმენთა უბადრუკი ნაწარმის სახით).

სამწუხაროდ, დაგვეკარგა ის დრო, როცა ბევრი რამ ადამიანმა უცოდინრად იცოდა და ურთიერთობები მაინც ჯანსაღი იყო. ეს იმიტომ, რომ უფროსი თაობა უმცროსისათვის მაგალითი და საზომი იყო. მასწავლებელი თვით წინა თაობის ქმედება იყო. სამოცდაათი წლის მანძილზე ეს ბუნებრივი გენეტიკურობაც მოიშალა და მცირერიცხოვან ზნეობის მოქადაგეთა ჩვეულებებსაც დაეკარგა მნიშვნელობა. სამაგიერო სასჯელი ჩვენი მოზარდების დამახინჯებული სულებია. დღეს ხუთი წლის ბავშვმა დუტუ მეგრელის საყოველთაოდ ცნობილი საბავშვო (არა მარტო) ლექსის ნაცვლად ის უკეთ იცის, რა მარკის ავტომანქანა რა ღირს „შავ ბაზარზე". ხდება ისეც, რომ ზოგიერთ მოზარდს (ხშირად უფროსებსაც) ტვინი აქვს გაწყალებული იაფფასიანი, ბულვარული რომანების კითხვით (თუკი საერთოდ რამეს კითხულობენ), ბანალური, იმიტატორისათვის გამიზნული ინდური თუ სამამულო კინოებით. ასე თუ ისე კარგმა მოსწავლემაც შეიძლება სკოლა დაამთავროს და წარმოდგენაც არ ჰქონდეს თანამედროვე ქართულ პროზასა და პოეზიაზე, ნამდვილ ხელოვნებაზე, თავი რომ დავანებოთ ჩვენი წარსულის მდიდარ კულტურასა და სხვა მსოფლიო ღირებულებებს. განათლების სისტემა იმდენად დეზორიენტირებულია, რომ მოზარდს ახა-თვისებლი ინფორმაციაც ლის, დავუმატოთ ამას ხშირად მასწავლებელთა დაბალი პროფესიონალიზმი, პროფესიისადმი მხოლოდ საათობით ანაზღაურებითი დამოკიდებულება და შედეგებს არც გაიკვირვებთ. მაგრამ ყოველივეს ზოგად პროცესებს ნუ დავაბრალებთ. ზოგადი განუკითხაობა კონკრეტული ადამიანებისაგანაც მოდის, მათი გულგრილობიდან. არის კულტურის საქალაქო და რაიონული განყოფილებები, მაგრამ ქალაქში ჩამკვდარია კულტურული ცხოვრება. კანტი-კუნტად თუ გამოჩნდება რაიმე ღირებული მოვლენის მაუწყებელი აფიშა. კულტურის განყოფილებათა საქმიანობიდან, უფრო სწორად, უმოქმედობიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ იქ არ არიან კომპეტენტური პროფესიონალები. სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენს ერთადერთ კინოთეატრში მაინც რამდენი სასიკეთო ღონისძიების ჩატარება შეიძლება (არა მუზაობის რაოდენობრივ აქტივში ჩასათვლელად). არადა, ძალიან მცირე კინომოყვარულმა თუ იცის, რომ ბანალური ინდური კინოს გარდა არსებობს სერიოზული —„პარალელური ინდური კინემატოგრაფი", თუმცა საბჭოთა კავშირი იშვიათად ყიდულობს იმ ფილმებს, მაგრამ ხომ არის ხელმისაწვდომი ფრანგული, იტალიური, ამერიკული, საბჭოთა, რაც მთავარია, ქართული კინოშედევრები. შეიძლება კინოკვირეულების ჩატარება. ალბათ იტყვით, კინ ელისო (კინოთეატრის სალაროც დაზარალდება), მაგრამ მაყურებლის გემოვნებასაც აღზრდა სჭირდება. სამოცდაათი წლის მანძილზე ხალხი ძალით იყო მისაყვან-მოსაყვანი გაუთავებელ უგემოვნო ღონისძიებებზე და მოვლენებისადმი დღევანდელი გულგრილობა გასაგებიცაა. მაგრამ სხვა რაღაა სათანადო დაწესებულებათა დანიშნულება, თუ არა მასის საზოგადოებად ქცევა. ქალაქში არის თეატრი, ბიბლიოთეკები, სამხატვრო გალერეა, თანამშრომლებს კი მოზონზონე მთქნარებაში გაჰყავთ დრო. არც ერთი ან ორი ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნის გამოძებნა შეიქნებოდა ძნელი, ისეთებისა, რომლებიც საზოგადოებას სწორად დააკვალიანებდნენ. თუმცა ჩვენი ქალაქის ჭინამდვილეში ახალგაზრდას უძნელდება თავისი შესაძლებლობების სრულყოფილად გამჟღავნება. არსებულ ვაკანტურ ადგილებზე მისაღებადაც კი ათასნაირ დაბრკოლებებს ქმნიან ანგარებიანი მოხელე-ჩინოვნიკები, გაბღენძილები რომ სხედან სხვადასხვა დაწესებულებათა კაბინეტებში. ერთი, კეისრის ტოგა აკლიათ, თორემ მათთან სამართლიან კამათშიც ისე შეიძლება სისხლი გაგიწყალდეს, რომ სულ თავზედი იწყევლო. ასეთ პირობებში ძნელია, სულიერი წონასწორობის შენარჩუნება; სულიერი თავისუფლების შეგრძნებაც გეკარგება და რწმენაც სიკეთის არსებობისა.

და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ ისტორიამ საზარელ სახელმწიფოებრივ კატაკომბებში გვაცხოვრა, თითო-ოროლა ღირსებაშენარჩუნებულ ადამიანებს მივუგდოთ ყური. მასწავლებელმა კარგად ასწავლოს, ამისთვის არაა აუცილებელი მაინცდამაინც „დემოკრატ მასწავლებელთა კავშირის" არსებობა ან წისა წევრობა. მასწავლებლის „დემოკრატობა" მისი პროფესიული დახვეწილობაა. ასევე, მხვნელ-მთესველი ვაზს თუ არ გაჩეხავს და საზამთროს არ დათესავს, თუ მუშა წელმა დასატრიალებელ ჩარხს უკუღმა არ დაატრიალებს, თუ დაბღვერილ ჩინოვნიკებსაც შევუძახებთ, არა მგონია, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც სასიკეთოდ არ შეიცვალოს საზოგადოება. კინოფილმ „ნერგებში" ხუბეჟურის ნერგების მძებნელივით ჩვენ შეიძლება უკეთესი ცხოვრების, სულიერი სიმშვიდის ნაყოფი ვერ ვიგემოთ, მაგრამ შთამომავლობას ვარგუნოთ ოდნავ მაინც უკეთესი ხვედრი, არც იმის დავიწყებით, რომ სიკეთე-ბოროტების ბრძოლა ცხოვრების მუდმივ-მამოძრავებელი ძალაა. ერთი პირობაც დავიცვათ—უპირატესობა სულს მივანიჭოთ.

ნანა ეხვაია.

---

სასკოლო ცხოვრება

## საინტერესო, მიზნობრივი

ამ დღეებში ონარიის არასრულ საშუალო სკოლაში (დირექტორი თ. ქუკავა) ჩატარდა დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული დილა (ხელმძღვანელი—პედაგოგი ე. კაკულია). მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპიზოდები, მოგონებები, წაიკითხეს ლექსები, მოაწყვეს ინსცენირება აკაკის მიერ ნათარგმნი იგავ-არაკებისა „მგელი და კრავი", „ჭრიჭინა და ჭიანჭველა", „ყმაწვილი და პეპელა", „ჩიტი და ბავშვები"

საზეიმოდ მორთულ დარბაზში, ყვავილებში ჩაფლულ აკაკის სურათთან თავმოყრილმა ყმაწვილებმა იმღერეს „სულიკო", „ციცინათელა", „მუხამბაზი", და სხვა.

ასევე საინტერესო იყო ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ქალაქის № 10 საშუალო სკოლის (დირექტორი ე. თოლორაია) მესამე „ბ" კლასში (მასწავლებელი ლ. ახალაია) დევიზით: „45 წუთი მათემატიკის სამყაროში".

განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა და სიხარული ლივლივებდა პატარების თვალებში. ისინი გონებით მათემატიკის სამყაროში დაქროდნენ—ვინ უფრო სწრაფად შეასრულებდა, ვინ უფრო სწრაფად და ზუსტად უპასუხებდა მოცემულ დავალებას...

ღონისძიებას ესწრებოდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები.

ჯ. ჩაკაბერია.

---

ეს დღეები სოფლად

## 1460 ტონისათვის

ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში ძირითადი შემოსავალი ჩაის კულტურაა. იგი გაშენებულია 225 ჰექტარზე, აქედან მოსავლიანია 185 ჰექტარი.

ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები ჩატარდა აგროღონისძიებების სრული კომპლექსის გატარებით, იქნება ეს ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, გასხვლა თუ სხვა.

ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა 1460 ტონის დამზადებას ითვალისწინებს.

დღეს კოლმეურნეობაში ყველა ბრიგადა კრეფს ჩაის ფოთოლს. დღიური კრეფა აღემატება 7-8 ტონას.

კრეფა ორგანიზებულად მიმდინარეობს იმ ბრიგადებში, რომელსაც ალიკო აბაკელია, მიხეილ გერანტია, ჰამლეტ ყურუა, ბონძო ქირია, გულადი სარჩმელია უძღვებიან.

ა. შაეუბაია.

---

## ღია წერილი კერძო ჩაის მფლობელებს!

მიმდინარე მომენტში და დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ოჯახის ეკონომიკისა და რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრის განმტკიცებას. ჩაი ხომ ერთ-ერთი ძირითადი ეროვნული სიმდიდრე გახდა საქართველოში. დამოუკიდებელ საქართველოში კი სწორედ ჩაი იქნება ერთ-ერთი ძირითადი კვების პროდუქტი კონვერტირებული ვალუტის შემოტანისა. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა კეთილდღეობა დიდად არის დამოკიდებული ჩაის კულტურაზე, შემოსავლის ძირითადი წყარო ჩაის კულტურაა.

საქართველო ხომ ჩაის მწარმოებელი ერთ-ერთი ძირითადი რესპუბლიკაა და ჩვენი ხვედრითი წილი კავშირში წარმოებული ჩაის 95 პროცენტს შეადგენს; რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო მოცულობაში მეჩაიეობის ხვედრითი წილი 23,6 პროცენტია; ამჟამად რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციის ფართობი 64,8 ათასი ჰექტარია და ჩაის აწარმოებს დასავლეთ საქართველოს 26 რაიონის 502 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ზუგდიდში ჩაის პლანტაციებს უკავია 8100 ჰექტარი. მათ შორის ინდივიდუალურ სექტორში ჩაის პლანტაციები გაშენებულია 250 ჰექტარზე და წლიურად იკრიფება 1800 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. შეიმჩნევა, რომ ჩვენი რაიონის დაბალ ზონაში — (ტყაია, რიყე), ჩაის პლანტაციის ნაკვეთების კერძო მფლობელებმა დაიწყეს საკუთარ ოჯახებში გაშენებული ჩაის ბუჩქების ამოძირკვა და იქ თხილის, ყვავილის და სხვათა გაშენება. აღნიშნული მსგავსია ვენახების მასიური გაჩეხვისა, რომელიც ცენტრის არასწორი დადგენილების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში მოხდა. მართალია ამჟამად ინდჩაის ანაზღაურება გაცილებით ნაკლებია საზოგადოებრივ სექტორთან შედარებით და ერთი კილოგრამ ნედლეულზე სხვაობა 50 კაპიკამდეა, მაგრამ მიმდინარე წელს ვაშენებთ კოოპერატიულ ჩაის ფაბრიკებს და მომავალი წლიდან დაგეგმილი გვაქვს რაიონში დამზადებული ინდჩაის მთლიანად მიღება და ანაზღაურებას ერთი კილოგრამი ფოთლისა გავზრდით 50 კაპიკით და იქნება 1 მანეთი და 40 კაპიკი, ხოლო მეორე ხარისხისა 90 კაპიკი; ამასთან ინდმეჩაიეები ნედლეულის ანაზღაურებას მიიღებენ არაუგვიანეს 6-7 დღისა; ასევე დაგეგმილი გვაქვს ჩვენს მიერ გამომუშავებული პროდუქციის გაცვლითი ოპერაციის ჩატარება და შესაბამისად დეფიციტური სამეურნეო და იმპორტული საქონლის ინდმეჩაიეებზე მიყიდვა. ინდმეჩაიეებისაგან ნედლეულის მიღებას მოვახდენთ ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით. ინდმეჩაიეს ეცოდინება თავისი ნედლეულის ჩაბარების დღე და საათი. ამასთან დავეხმარებით ინდმეჩაიეებს სასუქების გამოყოფა-შეძენაში.

ვურჩევთ თითოეულ ინდჩაის პლანტაციის მფლობელ ოჯახს შეაჩერონ ჩაის ბუჩქების ამოძირკვა და მოიქცნენ პირიქით:—ვარგის, თავისუფალი მიწის ნაკვეთზე გააშენონ ჩაის კულტურა და ამით მკვეთრად მომატებულ ანაზღაურების პირობებში გაზარდონ თავიანთი ეკონომიკა და ხელს შეუწყობენ საქართველოს ძლიერებას.

ზაურ დარასელია,
ჩაისა და სხვა კულტურების წარმოება-გადამუშავების კოოპერატივ „არგოს" თავმჯდომარე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო კონტროლის გვერდი №6 (179)

### სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტში

# როცა ნაკლოვანებებს ურიგდებიან

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა განიხილა საკითხი ქალაქ ზუგდიდის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოში სასურსათო პროდუქტების განაწილების, ვაჭრობის ორგანიზაციისა და ობიექტებში ვაჭრობის წესების დაცვის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ.

აღინიშნა, რომ ქალაქის სავაჭრო ორგანიზაციებში გარკვეული სახის ღონისძიებები ტარდება ვაჭრობის ორგანიზაციისა და ობიექტებში ვაჭრობის წესების დაცვის უზრუნველსაყოფად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა ხასიათდება სერიოზული ნაკლოვანებებით და სრულად ვერ პასუხობს პარტიისა და მთავრობის დღევანდელ მოთხოვნებს.

ვაჭრობის სამმართველოს საზოგადოებრივი კვების გაერთიანების ხელმძღვანელთა მხრიდან (ყოფილი უფროსი ნ. ქებურია) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ჩაშლილი იყო პროდუქტების განაწილების ძირითადი პრინციპები.

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსის დ. ქუტალიას მხრიდან დაქვემდებარებული მუშაკების საქმიანობაზე სუსტი კონტროლის, მომთხოვნელობის მოდუნებისა და არასათანადო დაინტერესების შედეგად აღნიშნულ სამმართველოში სათანადო დონეზე არ დგას სასურსათო პროდუქტების განაწილების, ვაჭრობის ორგანიზაციის, ობიექტებში ვაჭრობის წესების დაცვისა და კადრებთან მუშაობის საკითხი, რის შედეგადაც სისტემაში შეიქმნა ე. წ. პრივილეგირებული ობიექტები, რაც იმაში გამოიხატება, რომ დეფიციტური სასურსათო პროდუქტები ნაწილდება არათანაბრად რამდენიმე ობიექტზე და ფაქტიურად არავინ ზრუნავს სასურსათო პროდუქტების სწორად განაწილებაზე. შემოწმებამ ცხადყო, რომ თითქმის ერთი და იგივე საქონელბრუნვისა და სხვადასხვა კატეგორიის კვების ობიექტებში პროდუქტები ნაწილდება უსწოროდ. კერძოდ, პირველი კატეგორიის რესტორან „ოდიშს“ შარშან ფონდით გამოყოფილი ჰქონდა 53 ტონა ხორცი, 55 ტონა ყველი, 6 ტონა კარაქი; ფაქტიურად ათვისებულ იქნა 22,6 ტონა ხორცი, 650 კილოგრამი კარაქი და 10 ტონა ყველი, მაშინ; როდესაც მეორე კატეგორიის №10 სასადილოს (გამგე ი. გაბუჩია) 1989 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში, ობიექტის იჯარაზე გადაყვანის შემდეგ ფონდით გამოყოფილი 81,5 ტონა ხორცის ნაცვლად ათვისებული აქვს 61 ტონა, ხოლო ყველი 37,9 ტონა, აქედან 13,1 ტონა საზკვების ფონდის მიხედვით, ხოლო 24,8 ტონა შემოზიდულია გაცვლითი ოპერაციის საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სასადილოში ათვისებული აქვთ ისეთი სახის დეფიციტური საქონელი, როგორიცაა ხიზილალა 9,9 კილოგრამის ოდენობით, რაც ფონდით არ ეკუთვნის მეორე კატეგორიის ობიექტს. უფრო მეტიც, №10 სასადილოში შემოზიდულია 10 ტონა რძის ფხვნილი და 7 ტონა ნიორი, რომელიც რეალიზებულია სასადილოს დამტარი ტახტის მეშვეობით. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მესამე და მეოთხე კვარტალში ათვისებული 61 ტონა ხორციდან ობიექტის სამზარეულოზე განაწილებულია მხოლოდ 37,9 ტონა ხორცი, ხოლო დანარჩენი 23,1 ტონა ნახევარფაბრიკატების სახით რეალიზაციის ნაცვლად გაყიდულია საცალო ფასებში, რის შედეგადაც ამ გზით მიღებულმა მოგებამ 13 915 მანეთი შეადგინა. იჯარაზე მყოფ ობიექტებს ზემოაღნიშნული სახით პროდუქტების რეალიზაციის უფლება ხელშეკრულებით არ გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, დამტარი ტახტის მიერ რეალიზებულია დიდი ოდენობით კვების პროდუქტები.

სისტემაში „პრივილეგირებული“ ობიექტების არსებობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს შუამდგომლობით სხვა ორგანიზაციებიდან შეძენილია კვების პროდუქტები გაცვლითი ოპერაციების ჩასატარებლად. კერძოდ 1989 წლის 30 ოქტომბრის №104 წერილის საფუძველზე ჩაის გადამწონი კომბინატიდან მიღებულია 3 ტონა ჩაი, რომელიც უნდა გაცვლილიყო საკონდიტრო ნაწარმის სხვადასხვა ასორტიმენტზე: ფაქტობრივად, გაცვლითი ოპერაცია აწარმოა №10 სასადილომ, რის შედეგად კვების პროდუქტების ნაცვლად შემოზიდულია დიდი რაოდენობით სიგარეტი „კოსმოსი“. აღნიშნული ოპერაციების ჩატარებისათვის №10 სასადილოს რესპუბლიკიდან გატანილი აქვს 25 ტონა ჩაი და 10 ტონა ციტრუსი.

აღნიშნული დარღვევები განპირობებულია იმით, რომ ქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტები კონტროლსაა მოკლებული ვაჭრობის ხელმძღვანელობისა და შესაბამისი სამსახურების მხრიდან. საქმისადმი უპასუხისმგებლო და გულგრილი დამოკიდებულების შედეგია ის ფაქტი, რომ გასულ წელს ფონდით საზკვების ობიექტებს უნდა აეთვისებინა 130 ტონა ყველი, ფაქტიურად კი აითვისა 73,4 ტონა, ხოლო დანარჩენის აუთვისებლობის მიზეზად საზკვების გაერთიანების საქონელმცოდნე მ. მიქენაია ობიექტიდან მოუთხოვნელობას ასახელებს, მაშინ როდესაც ქალაქის სკოლა-ინტერნატის კვების ბლოკისათვის, სადაც ყოველდღიურად 800-მდე ბავშვი იკვებება, წლის განმავლობაში გაცემულია მხოლოდ 142 კილოგრამი ყველი.

ანალოგიური მდგომარეობაა კარაქის ფონდის ათვისების საქმეშიც, აუთვისებელი დატოვეს 28 ტონა კარაქი, მაშინ როდესაც პირველი კატეგორიის რესტორანმა „ოდიშმა“ 6 ტონა კარაქის ნაცვლად მიიღო მხოლოდ 650 კილოგრამი.

სერიოზული სახის დარღვევები გამოვლინდა №1 დიეტურ სასადილოსა (გამგე ნ. კანკია) და №10 სასადილოში. აქ უხეშად ირღვევა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ელემენტარული მოთხოვნები, ობიექტებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა ძალზე დაბალია, მაცივრებში დარღვეულია კვების პროდუქტების შენახვის წესები, კერძოდ №10 სასადილოს მაცივარში ერთად ინახება თევზი, კარაქი, სახაზე მასალა, მოხარშული და უმი ხორცი. №1 დიეტურ სასადილოში მოლარე ნ. ნანეიშვილმა მომხმარებელს ორი დასახელების კერძში ნაცვლად 1 მანეთი და 65 კაპიკისა მოსთხოვა 1 მანეთი და 90 კაპიკი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა კადრებთან მუშაობის საკითხებს. კერძოდ, №1 დიეტურ სასადილოში კერძების გაცემაზე მუშაობს 1917 წელს დაბადებული ვ. ემხვარი, რომელსაც ბოლო ორი წლის განმავლობაში სისტემატურად უგრძელდება ხელშეკრულება როგორც მაღალი თანრიგის დეფიციტური პროფესიის მქონე მაღალკვალიფიციურ მზარეულს, მაშინ როდესაც იგი ამ თანამდებობაზე საერთოდ არ მუშაობს. უფრო მეტიც, №10 სასადილოში 29 დასაქმებული პირიდან სანიტარულ-ჰიგიენური შემოწმების გავლას ექვემდებარება 23 მუშაკი, ხოლო შემოწმების დღეს სამედიცინო წიგნაკი აღმოაჩნდა მხოლოდ 8 თანამშრომელს. ობიექტში ხელშეკრულება გაფორმებულია ლ. ნანავაზე, როგორც მდივან-მემანქანეზე, მაშინ როდესაც ობიექტს საერთოდ არ ერიცხება საბეჭდი მანქანა და თვით ლ. ნანავა შემოწმების პერიოდში ადგილზე არ იმყოფებოდა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დარღვევა-ნაკლოვანებები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს ხელმძღვანელების მხრიდან დაქვემდებარებული სამსახურების მუშაობაზე კონტროლის შესუსტების, მომთხოვნელობის მოდუნების და ზოგ შემთხვევაში შემრიგებლურ დამოკიდებულებასთან ერთად, განპირობებულია იმითაც, რომ ცალკეული სამსახურები სათანადოდ დაინტერესებას არ იჩენენ არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

კონტროლის კომიტეტის სხდომაზე ცნობად იქნა მიღებული, რომ საზოგადოებრივი კვების გაერთიანების ყოფილი გამგე ნ. ქებურია განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო ამავე გაერთიანების გამგე ა. აბრალავა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობს 1990 წლის თებერვლის თვიდან.

დაქვემდებარებული სამსახურების საქმიანობაზე კონტროლისა და მომთხოვნელობის მოდუნების, სისტემაში არსებული დარღვევებისადმი შემრიგებლური დამოკიდებულებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებების გაუტარებლობისათვის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსს დ. ქუტალიას გამოეცხადა საყვედური.

ვაჭრობის სამმართველოს საზკვების გაერთიანების საქონელმცოდნის მ. მიქენაიას, №1 დიეტური სასადილოს მოლარის ნ. ნანეიშვილის, №10 სასადილოს გამგის ი. გაბუჩიას პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც დაუშვეს ვაჭრობის წესების დარღვევები, განსახილველად გადაეცა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს.

# გამოეცხადა საყვედური

სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი „ქალაქის რკინაბეტონის ნაკეთობათა № 4 ქარხნისა და „ხილბოსტანვაჭრობის“ ორგანიზაციებში ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შესახებ“ საკითხის განხილვისას გადაიდო რკინა-ბეტონის ნაკეთობათა №4 ქარხნის მთავარი ინჟინრის დ. ზარილავას პასუხისმგებლობის საკითხი მისი ავადმყოფობის მიზეზით კონტროლის სხდომაზე გამოუცხადებლობის გამო.

№4 რკინა-ბეტონის ქარხანაში დ. ზარილავასა და შესაბამისი სამსახურების მიერ თავიანთი მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ადგილი აქვს ატმოსფერული ჰაერისა და ნიადაგის სხვადასხვა სილიკატითა და ნავთობპროდუქტებით გაჭუჭყიანებას, ბუნებრივი რესურსებისადმი უყაირათობას.

ორგანიზაციაში უზრუნველსაყოფია ნახმარი ნავთობპროდუქტების შენახვა შესაბამის სათავსოებში და გამონაბოლქვი აირების გაზომვა. ნახმარი ნავთობპროდუქტები იღვრება ნიადაგზე, ხოლო გამონაბოლქვი აირების გაზომვა საერთოდ არ წარმოებს შესაბამისი მოწყობილობების უქონლობის გამო, რისთვისაც შესაბამისი სამსახურების მუშაკებს ჯერჯერობით არ უზრუნვიათ; ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია 50-მდე სხვადასხვა მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალება, ელემენტარული პირობა არა აქვს შექმნილი მათი ტექნიკური მომსახურებისათვის. უფრო მეტიც, ავტოსატრანსპორტო განყოფილების მიერ საქმისადმი უნიათო დამოკიდებულების შედეგად უკანასკნელ პერიოდში საერთოდ არ ტარდება კონკრეტული ზომები ბუნებისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის უზრუნველსაყოფად. აქ სათანადო დონეზე არ დგას ავტოსატრანსპორტო საშუალებების რაციონალურად გამოყენების საკითხი. გასულ 1989 წელს ავტომეურნეობამ იმუშავა პერსპექტიული გეგმაგრაფიკის გარეშე. ხშირია ფაქტები, როდესაც საგზურ ფურცლებში არ აღინიშნება ისეთი აუცილებელი რეკვიზიტები, როგორიცაა ავტომანქანების ობიექტებს შორის მოძრაობა, მოცდენისა და პარკში შესვლის დრო. საწვავ-საცხები მასალების ჩამოწერა წარმოებს მხოლოდ სატრანსპორტო ზედდებულის საფუძველზე.

აღნიშნულ ქარხანაში ნავთობპროდუქტები ინახება გაუმართავ, დაუკალიბრებელ საცავებში, სადაც ფაქტიურად შეუძლებელია ზუსტი ანალიზის გაკეთება, საწვავ-საცხები მასალების ინვენტარიზაცია. ვიზუალური შემოწმებით დადგინდა, რომ აქ ბენზინის დანაკლისმა 2,5 ტონა შეადგინა, რასაც ქარხნის ადმინისტრაცია და ავტომეურნეობის ხელმძღვანელობა იმით ხსნის, რომ ბენზინის საცავი ქარხნიდან მიღებულ იქნა დეფექტით, რამაც გამოიწვია 2,5 ტონა ბენზინის ნიადაგში გაჟონვა, დაუდევრობის შედეგად მიღებულმა ზარალმა კი 487,5 მანეთი შეადგინა. აღნიშნულ ფაქტზე კი შესაბამის სამსახურებს არავითარი რეაგირება არ მოუხდენიათ საცავის მომწოდებელი ორგანიზაციის მიმართ.

კონტროლის კომიტეტმა აღნიშნული დარღვევებისათვის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა №4 ქარხნის მთავარ ინჟინერს დ. ზარილავას გამოუცხადა საყვედური.

# უხეშად ირღვევა ვაჭრობის წესები

ქალაქის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ სავაჭრო ორგანიზაციებში ვაჭრობის წესების დაცვის უზრუნველსაყოფად გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზული სახის ნაკლოვანებებს.

ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ცენტრის (დირექტორი ვ. თოფურია) ჭურჭლეულის სექციაში (გამყიდველი ლ. ჭკადუა) შემოწმებისას გადამალული აღმოჩნდა სამამულო წარმოების საფერფლეები, გრაფინები და სხვა სახის ნაწარმი. მასვე აღმოაჩნდა ისეთი საქონელიც, რომელიც შემოსავალში არ ჰქონდა აღებული და არ ერიცხებოდა აღნიშნულ სექციას. კერძოდ, 8 წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი, 6 ცალი კალკოტკა, 12 ცალი ცხვირსახოცი, ერთი ცალი ქალის ჯემპრი, ქალის საცვალი 7 ცალი, 86 კოლოფი სიგარეტი „კოსმოსი“.

ზემოაღნიშნული ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებული სავაჭრო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და ვაჭრობის სამმართველოს დირექცია სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დაქვემდებარებულ ობიექტებში ვაჭრობის წესების დაცვის საკითხებს.

ვაჭრობის წესების უხეში დარღვევისათვის ვაჭრობის სამმართველოს სავაჭრო ცენტრის ჭურჭლეულის სექციის გამყიდველ ლ. ჭკადუას მიმართ მასალები გადაეცა ქალაქის პროკურატურას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისხმიერება

## რომ არა მძღოლის თავდადება

დღეს ადამიანის მიერ ადამიანისადმი სითბოსა და სიყვარულის გამოჩენა იშვიათობად იქცა, ასეთ დროს შეიძლება სულ მცირედმა გულისყურმაც კი გაგახაროს კაცი. თუმცა გულივერ მიქაიას მიერ გამოჩენილ გულისხმიერებას მცირედზე მეტი შეიძლება ეწოდოს. მოვდიოდით მე და ჩემი პატარა შვილიშვილი ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ექსპრესით, რომელსაც მართავდა გულივერ ალექსანდრეს ძე მიქაია. ცოტა ხანში თავი ცუდად ვიგრძენი, გულის შეტევებმა იმატა, დამეწყო თავბრუსხვევები, რიკოთის უღელტეხილამდე შედარებით კარგად ვგრძნობდი თავს, შემდეგ კი ძალიან ცუდად გავხდი. როგორც კი შეიტყო ჩემი მდგომარეობა, მძღოლი ყურადღებას არ მაკლებდა, მომაკითხავდა, მანქანას ხშირად მიჩერებდა, მაშინ, როცა ხშირად სადაც საჭიროა იქაც დამადლებით აჩერებენ ზოგიერთი მძღოლები. ბატონ გულივერს ჩემი პატარა შვილიშვილის ნერვიულობაც აფიქრებდა. როგორც იქნა მოვაღწიეთ სენაკამდე, სადაც ჩემი ნათესავები ცხოვრობდნენ. დარწმუნებული ვარ თუ არა მძღოლის ასეთი თავდადება, ცოცხალი ვერ ჩამოვაღწევდი, მან ჯერ ნათესავის ოჯახში მიმიყვანა, სადაც ბავშვი და ბარგი დავტოვე, შემდეგ ჩემს ნათესავებს მოეხმარა რაიონავადმყოფოში გადმოყვანაში.

მინდა საქვეყნოდ ვუთხრა მადლობა გულივერ მიქაიას ასეთი ყურადღებიანი და გულისხმიერი მოპყობისათვის, ვუსურვო დიდხანს სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ხალხის უანგარო სამსახური.

ბაბუცა მალანია-სიჭინავა.
ქ. წალენჯიხა.

რედაქტორი
 აკ. ჭანტურია.

წალენჯიხის სავაჭრო სამრეწველო კოოპერატივი „ლადა" სთავაზობს საწარმოებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს კომერციულ ფასებში შესაძენად შემდეგი სახის ავტომანქანებს და სათადარიგო ნაწილებს. ავტომანქანა „გაზ. 24-12", ავტომანქანა „ტოიოტა" — მიკროავტობუსის, „კამაზისა" და „მაზის" სახის ავტომანქანების, „რაფის" სახის ავტომანქანის ძარას.

ცნობებისათვის შეგიძლიათ დარეკოთ ქ. ჭვარში ტელეფონით: 8—19—47. 2 ივნისამდე ყოველდღე დილის 10 საათიდან 18 საათამდე.

კოოპერატივ „ლადას" დირექცია.

იქმნება შონიების საგვარეულო საქველმოქმედო დემოკრატიული საზოგადოება. შონიების გვარის წარმომადგენლებს ვთხოვთ გამოგვიგზავნონ ცნობები თავიანთი ოჯახების შემადგენლობისა და წარმომავლობის შესახებ მისამართით: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. №53, რაისაბჭოს აღმასკომი. მერაბ შონია.

გიწვევთ სასწავლებლად!

მომავალი 1990-91 სასწავლო წლისათვის ქ. ზუგდიდის №9 საშუალო სკოლის მეათე კლასის ბაზაზე გაიხსნება პროფილირებული სწავლების ჯგუფი ფიზიკა-მათემატიკის განხრით. მასწავლებლად იმუშავებენ დარგის გამოცდილი სპეციალისტები გურამ ბელქანია, გონელი პაპავა და სხვები.

პროფილირებული სწავლების ჯგუფში მიიღებიან 1989-90 სასწავლო წლის ცხრაკლასდამთავრებული ახალგაზრდები, რომლებიც განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ ფიზიკისა და მათემატიკისადმი.

ჩარიცხვა იწარმოებს გასაუბრებით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის დირექციას 15 ივნისამდე ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 15 საათამდე. მისამართი: მოსაშვილის ქ. №2, ტელ. №2—82—71.

სკოლის დირექცია.

# გიწვევთ სასწავლებლად!

## ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

მიღებას 1990-91 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

საშუალო დამთავრებულთა ბაზაზე:

მეორე კურსი (სწავლების ვადა 2 წელი).

1. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. 2. სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობათა ექსპლუატაცია და რემონტი.

3. საბუღალტრო—ეკონომიური; 4. ცელულოზისა და ქაღალდის წარმოება; 5. ჩაის პროდუქტთა ტექნოლოგია; 6. დაკონსერვების (გემოკვების) ტექნოლოგია.

დაუსწრებელი განყოფილება

1. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა. 2. დაკონსერვების (გემოკვების) ტექნოლოგია. 3. საბუღალტრო აღრიცხვა.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს:

1. ტექნიკოს-მშენებლებს სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობისათვის; 2. ტექნიკოს-მექანიკოსებს სამშენებლო და მანქანის მოწყობილობათა ექსპლოატაციისა და რემონტის განხრით. 3. ბუღალტერ-ეკონომისტებს ვაჭრობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კვების მრეწველობის დარგებისათვის; 4. ტექნიკოს-ტექნოლოგებს ჩაის ფაბრიკებისათვის და საკონსერვო ქარხნებისათვის; 5. ტექნიკოს-ტექნოლოგებს ქაღალდისა და ცელულოზის წარმოებისათვის.

ტექნიკუმის მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება. დაუსწრებელ განყოფილებაზე მიღების ასაკი განუსაზღვრელია.

ტექნიკუმში შემსვლელებმა დირექტორის სახელზე უნდა შეიტანონ ტექნიკუმის სპეციალურ ბლანკზე შევსებული განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით:

განათლების მოწმობა (დედანი), ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა №086), ოთხი ცალი ფოტოსურათი ზომით 2-3.

საბუთების მიღება იწარმოებს 10 ივნისიდან 10 აგვისტომდე.

ტექნოლოგიურ დარგებზე შემსვლელები აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერა (თხზულება), ქიმია (ზეპირი).

სამშენებლო, საბუღალტრო—ეკონომიურ და სამშენებლო მანქანების სპეციალობაზე შემსვლელები აბარებენ გამოცდას ქიმია ზეპირის ნაცვლად მათემატიკა ზეპირში

მისაღები გამოცდები იწარმოებს 10-დან 21 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21-დან 24 აგვისტომდე.

შენიშვნა ა) ტექნიკუმში შემსვლელებმა პირადად უნდა წარმოადგინონ პასპორტი, სამხედრო ვალდებულებმა, პასპორტთან ერთად მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი,

ბ) 8 აგვისტოს დილის 12 საათზე ეწყობა „ღია კარის დღე" ტექნიკუმი ეპატიჟება შემსვლელებს და მათ მშობლებს, სტუმრები გაეცნობიან მასალებს ტექნიკუმის დაარსების ისტორიიდან, დაათვალიერებენ კაბინეტ-ლაბორატორიებს, გაეცნობიან მისაღები გამოცდების ცხრილს, და მიიღებენ კონსულტაციებს მათთვის საინტერესო ყველა საკითხზე.

გ) გამოშვების 5 პროცენტში მოხვედრილი ხუთოსნები სარგებლობენ ოქროს მედალოსანთა ყველა უფლებით.

დ) ტექნიკუმის კურსდამთავრებულები ნაწილდებიან სამუშაოზე.

ე) გამოშვების 10 პროცენტში მოხვედრილებს იმავე წელს შეუძლიათ სწავლის გაგრძელება უმაღლეს სასწავლებლებში, ყოველგვარი სავალდებულო სტაჟის გარეშე.

მ ი ს ა მ ა რ თ ი: ქ. ზუგდიდი, სოხუმის, 2 ა, ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი. ტელეფონები: 2—21—11, 2—37—52, 2—37—46.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კვირის გარდა ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე.

დირექცია.

დეპი ლიანა, ლონდა, მიმოზა. დეიდები: პისტი. ნორა. ბიძები: ჟორჟი, კაკო გვილიები, სიძეები კარლო ხორავა. ზაურ გოგოხია, ზაურ ბუავა, მურმან სალია, ძმისშვილები: ვალერი, ანატოლი ბუკიები, დისშვილები: დენიზა, ნუგზარი, ოთარი ხორავები, რევაზი, რამაზი გოგოხიები. მაკა. ბელა ბუავები, სოსო, სოფიკო სალიები. ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ლუიზა კირილეს ასულ თოლორაიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 მაისს, 1 ივნისს. დაკრძალვა 2 ივნისს ზუგდიდში. გამოსვენება ეგრისის ქ. 19-დან 18 საათზე.

ლამარა და დავითი ზარანდიები შვილებით თანაუგრძნობენ ზური გვილიას ძმის

გიგლა პიპიკოს ძე გვილიას

გარდაცვალების გამო.

ზუგდიდი რაიონის პურკომბინატის კოლექტივი იუწყება თანამშრომლის

ჟენია ავთანდილის ძე ნაყოფიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლუიზა. დედა ლუნა, მამა პიპიკო. შვილები: ინგა. ირმა, გოგა. დები: მიმოზა. ნაზო. ძმები: ზაური. ვაჟა. ანზორი. სიდედრი ლინა. სიმამრი ინდიკო შეროზია, ცოლისძმები: ბორისი. მურადი. ცოლისდა ნონა. სიძეები თამაზი მილორავა, ნუგზარი გოგოხია. ძმისშვილები: ზაზა, ნათია. დისშვილები კახა. გოჩა მილორავები, თემური გოგოხია. დეიდაშვილები, ბიძაშვილები. მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიგლა პიპიკოს ძე გვილია.

პანაშვიდი 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს სოფ. ყულიშკარში.

დედა თამარა. მეუღლე ეთერი. შვილიშვილები: შუქრი, ხათუნა. რძლები: მზევინარი, თალიკო. ძმისშვილი ბესიკი, დეიდა ლიდია, ცოლისძმა არველოდი ბუაძე, ცოლისდა ნელიკო. ბიცოლა ვალია. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

რაფო ვალოდიას ძე თოდუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29 მაისს 18 საათზე სოფ. ახალაბასთუმანში.

დედა ეთერი, მამა აკაკი. ძმები ალეკო. ივერი. რძალი მარინა მოლაშხია. ძმისშვილი ანა. მამიდები: ეგრა. ილონი. გოგუცა, შურა, მზია, ბიძები: ლულუნი შენგელია, გივი. ლუდუკი, გურამი ქადარიები. დანიელი. რადიონი. ალფეზი ცხადაიები, ტირენტი ვარდია, პიპიკო, შაქრო სიჭინავები, მაზლები: ხათუნა ჭანტურია, თამარა სიჭინავა, კუკუში ოსავა, თალიკო კვირაია, სულიკო ბაჭკორია, გულნარა ჯიქია, ბედიშო ფარასელია, გულისა პაზავა იუწყებიან

თემურ (ზაური) აკაკის ძე ქადარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 მაისს, 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს. გამოსვენება 6 საათზე, ზუგდიდი კრილოვის ქ. 11.

დედა გულნარა. მამა გალაქტიონი. ძმები: გელა. პაატა. ბაბუა პართე, ბებია გუგუ ცხუცხუბაია, მამიდები: მარუსია. გოგუცა. დეიდა იზო. ბიძები: ვაჟა შენგელია. გულადი ცხუცხუბაია, რაული. ბუთხუზი ქირიები, ზური ლომაია. მუშნი ფარცვანია. ბიცოლები: გული. კონა შენგელიები, ჯული ცხუცხუბაია, ხათუნა, ინელა ქირიები, ბიძაშვილები: გია. ზური. რეზო. ნანა შენგელიები, ლაშა. კახა, ლადო ცხუცხუბაიები, რომანი, მათე, ნინო. ლანა ქირიები, მამიდაშვილები: ტარიელი, ბესიკი, მამუკა ფარცვანიები, დეიდაშვილები: ზაზა. ნატო. მედეა ლომაიები იუწყებიან

გოჩა გალაქტიონის ძე შენგელიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 მაისს. დაკრძალვა 2 ივნისს ქ. ზუგდიდი, ლენინგრადის ქ. 32. გამოსვენება 5 საათზე. დაკრძალვა სოფ. ჯიხაშკარში.

ქ. ზუგდიდის №10 საშუალო სკოლის 1977 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

ზაურ ქადარიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნათელა. შვილები: ეკა. თენგიზი. შვილიშვილი გიორგი. რძალი ნატო ლაგვილავა. სიძე იაშა ხარჩილავა, და ვალენტინა. ძმები: არონი. იმია. დეიდა ბუცა. დისშვილები, ძმისშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ომარი (ნეოფიტე) დომენტის ძე მორგოშიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 მაისს, 1 ივნისს. დაკრძალვა 2 ივნისს 6 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი. ჩკალოვის ქ. 22-დან.

მეუღლე ლენა ჩუხუა, შვილი გოდერძი, შვილიშვილები სოფიკო. დითო შამათავები. და ანტუშა თოდუა, ძმა ალიოშა ცანავა, რძლები: აზა კვარაცხელია. თალიკო ტურავა, ნინო კუტალია. სიძე თემური ჩახაია. მზახლები: მადონა. შოთა კვარაცხელიები. დისშვილები მანანა, დოდო, მედეა. მადონა. მაია. ჯამბული თოდუები. ძმისშვილები: ივეტა. ბესიკი ცანავები, ბიცოლა ლიდა ახალაია. დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ვალერიან (ქვათა) ალექსის ძე შამათავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2 ივნისს. დაკრძალვა 3 ივნისს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ერისთავის 15, დასაფლავება სოფ. საჯიჯაოში (ხობის რაიონი).

და დინა. ძმა ინდიკო. მამიდა ვენერა. სიძეები: სანატრელ როგავა, ვალერიან კვარაცხელია. რძლები: ლამარა ბოკუჩავა, ნუნუ კალანდია. ასმათი ქობალია. დისშვილები: თამაზი. ბადრი როგავები, ძმისშვილები: ბესიკი, თენგიზი, ნონა. ნანა გაბისკირიები, მამიდაშვილები: ლამარა. მაგნიტი ბენელიანები, მერი, ციალა კვარაცხელიები, დეიდაშვილები: ბოჩია. ვარდო, ვერა. მერი, ლეილა ქარასანიძეები ოჯახებით იუწყებიან

გივი დურუს ძე გაბისკირიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30. 31 მაისს. დაკრძალვა 2 ივნისს სოფ. ჯიხაშკარში.

მეუღლე ლენა, შვილები: გერონტი, ვალტერი. ნონა. რძლები: ქოქოშა, დენიზა, მზია, თალიკო, ნორა. მაიინა. სიძეები ნოკო ჯალაღონია, მიშა ქირია. რეზო თოდუა, ლუკიანე ქავშბაია, ფანდიკო კვარაცხელია, მაურიკი ლაგვილავა, რინელი ბულია, იუზი შეროზია. ზაური. გულადი ფიფიები, შვილიშვილები: ხათუნა, კახა თოდუები, ნანა, ლაშა. ბაჩანა მოლაშხიები. ცოლისდა ბუედუ, ცოლისძმები: მამანტი, გვანჯი ქობალიები, დისშვილები: ვაჟიკო, დალი ქირიები. თინიკო. ციური. ბედიშა. მზია. ბადრი ჯალაღონიები. ძმისშვილები: სოსო. ნუგზარი. ლალი. გია. ჯიმშერი. ნანი მოლაშხიები, მამიდაშვილები ირაკლი, გურამი კვარაცხელიები იუწყებიან

იპოლიტე სოსოს ძე მოლაშხიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 მაისს. 1 ივნისს, დაკრძალვა 2 ივნისს სოფ. ორულში.

შვილები: მარგო, ლამარა, ბონდო, ბოჩიკო წიწავები, და თამარა ჯიქია, რძლები: გოგოლა. ვალია, გული წიწავები, სიძეები: როდე შამუგია, მელენტი ჩუხუა, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები ოჯახებით იუწყებიან

ჟენია (ნატა) გაიოზის ასულ ნარსია-წიწავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 მაისს. დაკრძალვა 2 ივნისს სოფ. ცაიშში.

მამიდაშვილები: ნანული, მზევინარი, ეთერი. დალი. ჟუჟუ. მადონა. მზიური. დონარა. ალფეზი, დენიზა, აზა. მზიური. მოკონა, რამინი. კუკური, მთვარისა, ფრიდონი, ბიძაშვილები: გურამი, გულნაზი, ბესიკი, რადუგა. ბექანი. ვალერი, ირმა, სოსო. ელდარი, ნუკრი, ავთანდილი, ლაშა, შადიმანი, მზეთუნა. ლია ოჯახებით იუწყებიან

თემურ (ზაურ) აკაკის ძე ქადარიას

გარდაცვალებას.

И Н Д Е К С 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი. მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის —2-24-80, რედაქტორის მოადგილის—2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის —2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების —2-21-78 მშრომელთა წერილების —2-25-12, რადიორედაქციის —2-47-00

საქ. სსრ გამსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 56 ტელეფონი 2-23,07 ტირაჟი 22000. შეკ. №2701